

დანართი 3 დამტკიცებულია თბილისის
სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს 2010 წლის 27 მაისის
23/5 დადგენილებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების და სხვა კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე და არეგულირებს ცალკეულ საექიმო სპეციალობებში რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესსა და პირობებს. (#23/10 17.12.2010)

მუხლი 1. რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესის საფუძველი და მიზანი (#23/10 17.12.2010)

1. რეზიდენტურაში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის - “რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა” – ბრძანების (#135/ნ. 08.04.2009 წ.) საფუძველზე და მის შესაბამისად, აკრედიტაციით მინიჭებული ლიმიტი/კვოტის მიხედვით.

2. რეზიდენტურაში ჩარიცხვის წესის მიზანია, აკრედიტაციით დადგენილი ლიმიტის (კვოტის) მიხედვით კონკრეტული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) /სარეზიდენტო პროგრამაში მზადებისათვის სპეციალობის მაძიებელთა კონტიგენტის შერჩევა.

მუხლი 2. რეზიდენტურაში ჩარიცხვის პირობები და ვადები

1. რეზიდენტურაში ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება წინამდებარე წესით.

2. რეზიდენტურაში ჩასარიცხ პირთა რაოდენობა განისაზღვრება აკრედიტაციით მინიჭებული რეზიდენტთა/მაძიებელთა ლიმიტისა (კვოტის) მიხედვით.

3. საექიმო სპეციალობების მიხედვით რეზიდენტურაში წინასწარი რეგისტრაცია, კონკურსის ვადები და სპეციალობების მიხედვით საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ადმინისტრაციული ბრძანებით.

4. ამოღებულია (#23/10 17.12.2010);

მუხლი 3. რეზიდენტურაში მისაღებ კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირი

1. რეზიდენტურის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საექიმო სპეციალობის მაძიებელს, რომელმაც ერთიანი დიპლომის შემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოიპოვა 151 ქულა ან მეტი და აქვს სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა;

2. რეზიდენტურის კონკურსში მონაწილეობა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოპოვების მიზნით ახალ საექიმო სპეციალობაში შეუძლია სერტიფიცირებულ ექიმ სპეციალისტს, თუ ახალი საექიმო სპეციალობა არ არის იმ საექიმო სპეციალობის მომიჯნავე, რომელშიც მოპოვებული აქვს საექიმო საქმიანობის უფლება. (27.03.2019წ N23/4)

3. სპეციალობის მაძიებელს, რომელიც ჩარიცხულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სარეზიდენტო პროგრამაზე, რეზიდენტურის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტისა და სარეზიდენტო პროგრამიდან ამორიცხვის შემდეგ. (#23/10 17.12.2010)

4. რეზიდენტურის კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების სამედიცინო სალიცენზიო გამოცდის (USMLE) პირველი (step 1) და მეორე ეტაპი (step 2 CK) მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში. (27.03.2019წ N23/4)

5. ამერიკის შეერთებული შტატების სალიცენზიო გამოცდის (USMLE) პირველი (step 1) და მეორე ეტაპის (step 2 CK) ჩაბარება გათანაბრებულია ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის უმაღლეს შეფასებასთან (200 ქულა). (27.03.2019წ N23/4)

მუხლი 4. რეზიდენტურაში რეგისტრაციის ორგანიზაცია

1. სარეზიდენტო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია შეიძლება ჩატარდეს:

ა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, როგორც საბუთების უშუალოდ წარდგენის გზით;

ბ. ელექტრონული ფორმით, თსსუ-ის ვებ_გვერდზე (www.tsmu.edu) რეგისტრაციით;

2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სარეზიდენტო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაციის წესი განისაზღვრება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის ჩატარების დროს რეზიდენტურაში რეგისტრაციის პროცესს და კონკურსის მიმდინარეობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი (შემდგომში _ ინსტიტუტი).

4. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის ჩატარების დროს სარეზიდენტო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა მისაღებ კომისიას უნდა წარუდგინოს ქვემოჩამოთვლილი საბუთები:

ა. განცხადება სარეზიდენტო პროგრამაზე დაშვების შესახებ (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ. საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობა (ორიგინალი და ასლი);

გ. უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომი და დიპლომის ასლი);

დ. ავტობიოგრაფია (CV);

ე. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მოწმობის ასლი;

ვ. ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4;

ზ. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო

სერტიფიკატი (ექიმ-სპეციალისტებისთვის).

5. თუ წარმოდგენილი საბუთები არ შეესაბამება დადგენილ წესს, საბუთები არ მიიღება და განხილვას არ დაექვემდებარება.

6. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის ჩატარების დროს რეზიდენტურაში რეგისტრაციის პროცესს და კონკურსის მიმდინარეობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტი (შემდგომში _ ინსტიტუტი) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის სამსახური.

7. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული წესით რეგისტრაციის ჩატარების დროს ამ მუხლის მე-4 პუნქტის `ა-ზ` ქვეპუნქტებით განსაზღვრული საბუთები მისაღებ კომისიას უნდა წარუდგინოს:

ა. გასაუბრებაზე დაშვებულმა საექიმო სპეციალობის მაძიებელმა/სერტიფიცირებულმა ექიმმა რეგისტრაციის პროცესის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

ბ. სარეზიდენტო პროგრამაზე ჩარიცხულმა სპეციალობის მაძიებელმა/სერტიფიცირებულმა ექიმმა კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში.

გ. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეგისტრაცია წყდება კონკურსის დასრულებამდე 48 საათით ადრე. (27.03.2019წ N23/4)

დ. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული საექიმო სპეციალობის მაძიებელის რეგისტრაცია ააქტიურდება და დასრულდება დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტში ავთენტური დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე. დოკუმენტაციის წარდგენის ვადაა რეგისტრაციის პროცესის დაწყებიდან 24 საათი/1 სამუშაო დღე. (27.03.2019წ N23/4)

8. გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში საექიმო სპეციალობის მაძიებელს შეუძლია დარეგისტრირდეს მხოლოდ ერთ საკონკურსო ადგილზე. (27.03.2019წ N23/4)

9. სპეციალობის მაძიებელს, რომელმაც საბუთები შემოიტანა ერთ-ერთ საექიმო სპეციალობაზე, არა აქვს უფლება შეიცვალოს საექიმო სპეციალობა. (შეტანილია ცვლილება #23/8 27.12.2013)

მუხლი 4¹. რეზიდენტურაში ჩარიცხვის საფუძვლები (#23/10 17.12.2010)

1. კონკრეტული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სრული სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში აკრედიტაციით მინიჭებული საერთო ლიმიტიდან (კვოტიდან) სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო ადგილი გამოიყოფა ექიმ-სპეციალისტისთვის (სრული კურსით სარეზიდენტო მზადება). (27.03.2019წ N23/4)

2. საექიმო სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვა განხორციელდეს დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მინიჭებული ქულის მიხედვით (რეიტინგული სისტემით). (#23/6 15.06.2010)

3. რეზიდენტურაში ჩარიცხვა სპეციალობის მაძიებელთა ის რაოდენობა, რომლებსაც აკრედიტაციის შედეგად დადგენილი ლიმიტის (ქვოტის) ფარგლებში განსაზღვრავს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. (#23/6 15.06.2010)

4. თუ აკრედიტაციის შედეგად მისაღები კონტინგენტისათვის გამოყოფილ ადგილებზე სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილებზე მყოფ მაძიებლებს აქვთ თანაბარი ქულები, შესაბამის სპეციალობაში დაინიშნება გასაუბრება. (#23/6 15.06.2010)

5. გასაუბრება ჩატარდება სერტიფიცირებული ექიმებისათვის, თუ შესაბამის სპეციალობაში განაცხადების რაოდენობა აღემატება გამოყოფილ საკონკურსო ადგილს. (#23/6 15.06.2010)

მუხლი 5. რეზიდენტურაში მისაღები კონკურსის პირობები (ამოღებულია) (#23/6 15.06.2010)

მუხლი 6. კონკურსის შედეგი

1. კონკურსში გამარჯვებულ პირთა სია განისაზღვრება კონკრეტულ საექიმო სპეციალობაში გამოცხადებული მისაღები ადგილების რაოდენობის მიხედვით.

2. გასაუბრების დასრულებისას ხორციელდება საკონკურსო უწყისის გაფორმება. გასაუბრების დასრულების შემდეგ საჯაროდ გამოცხადდება გასაუბრების შედეგები. (#23/10 17.12.2010)

3. კონკურსში გამარჯვებულ საექიმო სპეციალობის მაძიებელთა რეზიდენტურაში ჩარიცხვა ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით საექიმო სპეციალობის მაძიებელსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. (27.03.2019წ N23/4)

4. იმ შემთხვევაში თუ კონკურსში გამარჯვებული სპეციალობის მაძიებელი არ გააფორმებს ხელშეკრულებას უნივერსიტეტთან ხელშეკრულება გაფორმდება დარეგისტრირებულ, რეიტინგით მომდევნო სპეციალობის მაძიებელთან. (27.03.2019წ N23/4)

5. ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე ჩარიცხება რეიტინგით მომდევნო მაძიებელი. (#23/10 17.12.2010)

6. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალობის მაძიებელი გაირიცხება რეზიდენტურიდან მზადების დაწყების შემდეგ, ვაკანტური ადგილზე ჩარიცხვა განხორციელდება ხელახალი კონკურსის საფუძველზე. (#23/10 17.12.2010)

მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტების შენახვა

რეზიდენტურაში მისაღები გამოცდაში მონაწილე პირთა პირადი საქმეები და

საკონკურსო დოკუმენტები ინახება სამი წლის განმავლობაში